26 აპრილს. (8 მაისს) 1868. № 17. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქ-შვილის და კამკ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: ტფილისი.—კორრესპონდენცია რუსეთიდგან.—პოლიტიკა: ანგლია.—საფრანგეთი.—ოსმალეთი.—შეერთებული შტატები.—სხვა და სხვა ამბავი: მიწის ძვრა ტფილისში.—ქიზიყელები ინგილოებში.—ფელეტონი: ქლოდ გო (მოთხრ. მიკტორ ჰუგოსი). ლექსები: პირუთნო მოციქულს.—ფანტაზია.—

ტფილისი.

უმაღ. დიდმა მთავარმა ალექსანდრე ნამესტნიკმა ბრძანა მგზავრთა მომარჯვებულ მიმოსვლისათვის, ამას იქით ორ ადგილიან ფოსტის კოლიასკებისათვის ადრინდელ 8 კოპეიკის მაგიერათ გამოერთვას ერთი შაური თითო ვერსტზე; ამას გარდა ფოსტის ეკიპაჟებით მსვლელთა ეკიპაჟის გატეხის დროს გასაკეთებელი ფასი აღარ გამოერთვასთ.

—

ტფილისის ტელეგრაფის სტარციის უფროსი აცნობებს ყველასა, რომ ამას იქით გასაგზავნი დეპეშები დაბეჭდილ ან შეკრულ კანვერტებით გაიგზავნებოდეს სტანციაში, ზედ წარწერითა „ტელეგრამმა“. ეს განკარგულება ამისთვის მოუხდენია, რომ ტელეგრამმა სახალხოთ, შემთხვევისა გამოთ, არ გამოცხადდეს.

—

სამოსამართლო საჩვენებელი.

ამ აპრილის 22-ს ტფილისის მაზრის სასამართლოში მოსახსენებლათ დანიშნული საქმე თავადის აბაშიძის ასულის ანას მოტაცებაზე თავადის სოლომონ ანდრონიკაშვილისაგან, ამ რიცხვს აღარ მოხდება ვიდრე საკუთრად განკარგულების მოხდენამდის.

კორრესპონდენცია რუსეთიდგან.

მოსკოვი. რუსეთში წელს, როგორც გაიგონებდით, ძლიერ დიდი შიმშილობაა. რომელ გაზეთშიც უნდა ჩახედოთ, ყველგან ჰნახავთ მასზედ ჩივილს.—მართალია რუსეთში, განსაკუთრებით ზოგიერთ სამხრეთ გუბერნიებში შიმშილს ხშირად ჰგრძნობენ მცხოვრებლები; მაგრამ წელს იგი საზოგადო ჭირი შეიქმნა. მთავრობა და ყოველ გვარი საზოგადოება დიდ შემწეობს უჩენენ დამშეულებს: სადაც კი გაიხედავთ, ყველგან ჰკრებენ მათთვის შესაწევ ფულებს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს შემწეობა რაც უნდა დიდი იყოს, ყველა დამშეულებს ძნელათ დააკმაყოფილებს. შიმშილი, როგორც სხვა ყოველ გვარი ჭირი, უმეტესად აწუხებს და სდევნის იმ საცოდავ მუშა ხალხს, რომლის ნამუშავარით, ვინ იცის, რამდენ მდიდარ ვაჭრებს და სხვა-და-სხვა მოხელეებს აქვთ მაძღარი კუჭი. როგორც იწერებოდნენ სხვა და სხვა გაზეთებში, წელს იმდენზე მიაღწევინა შიმშილმა მდაბალ ხალხს, რომ მრავალი მათგანი თურმე სტოვებდა თავიანთ სოფლებს და სახლსა და კარს, და თავის ცოლ-შვილით გადადიოდა უფრო მაძღარ გუბერნიებში. მაგრამ ეგრეთი მავნებელი მოგზაურობა მომავალისათვის მალე აღეკრძალა მათ მიაროობისაგან.

ერი ჭირი კმაროდა და საუბედუროთ მეორეც ზედ მოემატა.—დამშეულებს სიცივემაც დუჭირა საქმე. რუსეთში სიცივე და გრძელი ზამთარი ჩვეულებრივი საქმეა; მაგრამ წელს აქ უფრო საგრძნობელი იყო სიცივე, ვიდრე სხვა წინა ზამთრებში. წელს აქ აგრეთი ყინვები იყო, რომ ვისაც თვითონ არ გამოუცდია აგრეთი ყინვები, მისთვის ძნელი წარმისადგენია მათი ძალა. რომ უფრო ცხოველად წარმოიდგინო, მკითხველო, ეს ყინვები, ეს ერთს მაგალითს მოგახსენებ, რომელიც მე თვითონ ვნახე ჩემი თვალებით. ერთ დღეს ამ ყინვების დროს მე მივდიოდი ქუჩაში. ერთ ადგილს მე დავინახე, რომ მეიდანზე რაღაცა ხალხის გროვა იყო, რომელსაც მცქერელები თან და თან ემატებოდნენ. ცნობის-მოყვარებამ მეც მიმიზიდა და გამოუდექი უკან სხვებს. იმისთანა სანახავი უნახავს თქვენ მტერს, როგორიც მე ვნახე, როცა მივედი და გადავიხედე მაცქერლების შუაში.—აქ იდგა ერთი ძველი დროშკა, რომელშიაც ება ერთი გამხდარი თეთრი ცხენი, რომელსაც ჩამოეყარა ყურები და ჩამოეშო ლაშები თითქო თავის პატრონს გლოვობსო. დროშკაზე იჯდა მოხუცებული მედროშკე, რომელსაც მოეხარა ცოტათ კისერი და ხელებში ეჭირა მაგრათ აღვირის სადავეები. ვისაც უნდა დაენახა ეს საცოდავი, პირველად ვერავინ ვერ იფიქრებდა თუ მისს ძარღვებში თბილი სისხლი აღარ ბრუნაედა. მაგრამ ის კი არა, ვინ იცის, თუ რამდენი ხანია სული ამოსლოდა საწყალს. მიეედი თუ არა, ამ დროს მოჰკიდეს მას ხელი ორმა პოლიციის სალდათებმა, რომლებსაც უნდოდათ გადმოეღოთ იგი მჯდომი ფიცრიდგან, და მოსწიეს; მაგრამ ისე მაგრათ მიეყინა ის საცოდავი, რომ ძლივს მოაცილეს. როცა გადმოათრიეს ჩადვეს იგი თავისავე დროშკაში და გაუძღვენ პოლიციისკენ.

ეს საწყალი თურმე ორი საათი მეტი ატარა გაშეშებული, როგორც მითხრეს აქ მდგომმა ვაჭრებმა, თავისმა ცხენებმა; მაგრამ ვერავინ ვერ იფიქრა, თუ ის გაყინული იყო და ცხენი თავის ნებისად დადიოდა. მერმე, ოდესაც ის შაიტანა ცხენმა ვიწრო ქუჩაში, მაშინ ერთი ვიღაცა მედროშკე მოაქანებდა ცხენებს, რომელსაც უჯდა ვიღაცა მდიდარი. როცა დაინახა, რომ გაყინული მედროშკე გზაზე არ უდგებოდა, მან შამოჰყვირა „ჩამოდექიო“. გაყინულმა რასაკვირველია მისი ბრძანება ვერ აღასრულა. მაშინ იმან გაჯავრებულმა ჩამოუქროლა მას გვერდზედ და უპირებდა ერთი მათრახი ეთავაზებია; მაგრამ როცა ჩააცქერ-

ქლოდ გო.

(დასასრული).

როცა თვალები გააახილა, ნახა რომ საწოლში იწვა, წმინდა საცვალი ეცვა და თავს დასტრიალებდნენ მოსამსახურენი. თავით დასტრიალებდნენ დანი გულლმობიერებისა. იქვე იყო გამომძიებელი მოსამართლე და დიდის გულშეტკივნებით ჰკითხავდა:

— როგორ ხართო?

ქლოდს ბევრი სისხლი სდენოდა, მაგრამ თავი მაინც ვერ მოიკლა იმ პატარა მაკრატლითა. რამდენი არ ატრიალა მკერდში ეს მაკრატელი, მაგრამ არც ერთი დანაკრავი არ იყო ქლოდისთვის მომაკვდინებელი. იმისმა მძლავრმა ხელმა მხოლოდ დირექტორი მოჰკლა.

შეუდგნენ გამოძიებას. ქლოდს ჰკითხეს, კლერვოს სატუსაღოსთან რომ სახელოსნოა, იმის დირექტორი შენ მოჰკალიო? — დამნაშავემ მიუგო:—დიახ.—რათაო, ჰკითხეს?

— იმან მიუგო: ისეო.

ამასობაში იარა ისევ გაეხსნა ქლოდსა. დაუწყო ცხელება და კინაღამ მოკედა.

ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი სულ ამის ექიმობაში გავიდა; ექიმები და მოსამართლენი ქლოდს თავს დასტრიალებდნენ. ზოგი სწამლობდა, ზოგი კი სახრჩობელას უმზადებდა.

ბევრს აღარ გავაგრძელებ. 1832 წელს 16 მარტს ქლოდი მორჩა და წარსდგა სამსჯავროში, რომელიც იყო დანიშნული ტრუას. რაც რამ ხალხი მოიძევოდა ამ ქალაქში, ყველა იმ სამსჯავროში მოგროვდა.

ქლოდი სამსჯავროში ღირსეულად იქცეოდა: ის იდგა ქუდ-მოხდილი თავმოპარსული ქლერვოს ტუსაღის ტან-საცმელითა.

საკროლო პროკურორმა ჯარით შემოზღუდა სასამართლო ზალა, იმ განზრახვით რომ მოეთოკოვო ყველა ბოროტნი, რომელნიც იქვე მოწმებათ იყვნენ მიყვანილნი.

შედავების დროს შეემთხეათ ერთი მოუფიქრებელი დაბრკოლება: ვინც კი ოთხს ნოემბერს დასწრებოდა, არც ერთს იმ მოწამეთაგანს არ უნდოდა, რომ ქლოდის წინააღმდეგ ეჩვენებინა. თავს მჯდომარემ შეჰფიცა ისინი, ძალიან დაემუქარა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა, ქლოდის საწინააღმდეგო არა სთქვეს რა. მაგრამ ქლოდმა უბრძანა იმათ, რომ ეთქვათ, რაც იცოდნენ. ამას შემდეგ მოწმებსაც გაეხსნათ ენა და, რაც ენახათ, აღარა დაუმალავთ რა.

ქლოდი გულდასმით ყურს უგდებდა და, თუ ვინმე იმის პატივისცემით არ მოიხსენებდა ზოგიერთს შემთხვევას, რომელიც დაუმძიმებდა დანაშაულობას, ის მაშინვე გაუსწორებდა, ან მოაგონებდა დავიწყებულს ამბავსა.

ამისთანა ჩვენებამ დაწვრილებით წინ დაუხატა მოსამართლეებსა ქლოდის დანაშაულობა.

ამ გამოძიებაში ბევრჯერ სტიროდნენ ხოლმე ქალებიცა.

მოაწია იმ ჟამმაც, როცა ალბენს უნდა ელაპარაკნა. წესის ამსრულებელმა მოუწოდა ალბენსა- ის შეეოვიდა და თან ირხეოდა და სტიროდა. ჟანდარმებმა ვერ დაიმაგრეს, მაშინვე მივარდა ქლოდს და მოეხვია კისერზე. ქლოდმა ხელი სტაცა მას და ღიმილით უთხრა საკროლო პროკურორსა.

— აი ის ბოროტ-მოქმედი კაცი, რომელიც კერძს უყოფს დამშეულებს.

როცა გამოძიება გათავდა, საკროლო პროკურორი წამოდგა და ასე დაიწყო:

— უფ. ნაფიცნო, საზოგადოება ძირიანათ უნდა დაშლილიყო, თუ რომ საზოგადო მართლ-მსაჯულებას არ ემხილებინა იმისთანა საშიში დამნაშავენი, რომელნიცა და სხვ . . .

ამ დაუეიწყარს სიტყვას შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ქლოდის ადვოკატმა. დამნაშავეს მომხრეთა სათითოოთ დაიცვეს გულ-დაჯერებით კი არა, ისე როგორც ჩვეულება მოითხოვდა.

ქლოდმა შენიშნა, რომ რაც სათქმელი იყო, ბევრი არა სთქვეს. ადგა და თვითონ დაიწყო ლაპარაკი;—ისეთ ნაირათ ილაპარაკა, რომ ერთს იქ მყოფს მეცნიერს მეტად გაუკვირდა.

ცხადათა სჩანდა, რომ ეს საწყალი მუშა რიტორათ (მჭევრმეტყველათ) დაბადებულ იყო, და არა მკვლელათ. ის იდგა და ისე ლაპარაკობდა კარგათ, გარკვევით; თვალებს მკვირცხლათ ანათებდა, იდგა გულმაგრათ, და ბოროტ-განზრახვა არ ეტყობოდა. ლაპარაკობდა იმაზე, რაც შემთხვევიყო, არაფერი აღარ დაუფარავს და ბოლოს უშიშრათ შეხედა ორას მეოთხმოცდა მეთექვსმეტე კანონის მუხლსა და თავი დახარა მეხრლმეს წინაშე. ხან და ხან ასეთი დაწყობით და აღელვებით ლაპარაკობდა, რომ მთელი ხალხი აღშფოთდებოდა ხოლმე და იმის წარმოთქმულს სიტყვებს ერთი მეორეს უჩურჩულებდნენ ხოლმე ყურში. ამის გამო ატყდებოდა დრტვინვა და ამ დროს ქლოდი სულს მოიბრუნებდა ხოლმე და ამაყად უცქეროდა იქ დამსწრეთა.

ზოგჯერ იმისთანა წამიც დადგებოდა ხოლმე, როცა ქლოდ გო იყო ზრდილობიანი, მშვიდი და განათლებულს კაცსავით ალერსიანი. მეტად გულსატკენი და აღმაშფოთებელი შედავების დროს სიტყვა-სიტყვაზე დალაგებით მოჰყვა თავის ამბავს მოსამართლეებთ წინაშე. სითავმდაბლით, თავ-დაჭერით, ყურდაგდებით და პატივის ცემით ექცეოდა იმათ.

მხოლოდ ერთხელ ვეღარ მოითმინა და ჯავრმა გაიტაცა. საკროლო პროკურორმა წარმოსთქვა, რომ ქლოდს მოუკლავს დირექტორი სულ ტყუილა-უბრალოთ; დირექტორის მხრივ არც ერთი პატივსაცემი მიზეზი არა ყოფილაო; მაშასადამე არაფრისთანა არას ფრით იმას ქლოდი არ გაუჯავრებიაო.

— როგორ თუ არ გაუჯავრებივარო!—ქლოდმა დაიყვირა, მაგრმ მესმის თქვენი აზრი. მთვრალს რომ დაეკრა ჩემთვის და მოემკლა; მაშინ თქვენ იტყოდით იმას გაუჯავრებიარ და ახიც ვყოფილვარ, რომ მომიკლავს, ასე არ არის?—ამ შემთხვევაში, უეჭველათ კანონი შემიწყნარებდა და გალერაში გამგზავნიდა. მაგრამ ფხიზელი და სრული გონებიანი კაცი მთელი ოთხი წელიწადი სწყლავს ჩემს გულს, მამდაბლებს სრულებით უმიზეზოთ, ყოველ დღე, ყოველ საათს და ყოველს წამს სჭვალავს ჩემს გულსა, მკბენს საგრძნობელს ალაგას.... მე მყვანდა ცოლი, რომლისთვისაც ქურდობა გავბედე, ის გულს მიკლავს ამ ქალის სახელით. მე მყვანდა შვილი, რომლის გასაკვებათ ქურდობა ვქმენი, ის ამ შვილის სახელითაც მაჯავრებს; საზრდო პური არა მყოფნის; ჩემი მეგობარი მაძლევს საზრდო პურსა; ის მაშორებს ამისთანა მეგობარსა; მე ვევედრები, რომ მეგობარი ისევ დამიბრუნოს, ამისთვის საპყრობილეში მაგდებს. მე ვეუბნები იმ არა წმინდას „თქვენ“, ის კი „შენ“ს—მეუბნება. ვიტანჯები-მეთქი; „ქარგია თავი ნუ მამაბეზრეო“. აბა რა უნდა მექნა? მოვკალი. რადგან მოვკალი, ქვეყნის თვალში ბუმბერაზ ავაზაკათ გავხდი. დიახ. თქვენის აზრით მე ის სრულებით უმიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, შეატყო თუ რისთვისაც არ ემორჩილებოდა ის მისს ბრძანებას. მაშინ მან დაუძახა მახლობლად მდგომ პოლიციის სალდათს და მიუშვირა ხელი გაყინულ მედროშკეზე; თვითონ კი გასწია თავის გზაზე, რადგანაც მისს აღას მიეჩქარებოდა სადღაც. ამისთანა ყინვები რასაკვირველია უფრო მალე მოერევა, მკითხველო, დამშეულებს, ვიდრე მაძღრებს.

საზოგადოთაც რომ ვსთქვათ, ღარიბების და დამშეულების მდგომარეობა რუსეთში და ამ გვარ ცივ ქვეყნებში უფრო ძნელია, ვიდრე თბილ ქვეყნებში, როგორც მაგ. ჩვენში. ეს ამისათვის, რომ თბილ ქვეყნებში დამშეულებს შეუძლიათ, რომ აღისუბუქონ თავიანთი მდგომარეობა მცენარის საჭმელებით და სხვა-და-სხვა გვარი ნაყოფებით (ხილით). რადგანაც ამ გვარ ადგილებ'ში ბუნება უფრო მდიდარიც არის და დედამიწის კანიც იშვიათად დაიფარება თოვლით. ცივ ქვეყნებში კი, მაგ. როგორც რუსეთში, ნახევარი წელი მეტი ძევს დედა-მიწაზე ღრმა თოვლი. თფილ ქვეყნებში ამას გარდა ღარიბ ხალხს იმდენი შეშა და ისეთი თფილი ტანისამოსი არ უნდა, როგორც ცივ-ქვეყნებში, სადაც ცივი და გრძელი ზამთარია. რუსეთში, ნამეტურ ჩრდილოეთის გუბერნიებში მუშა ხალხი ძრიელ ღარიბია. აქ გლეხები ბედნიერად რაცხენ თავის თავს, თუ შავი პური და კომბოსტოს წვენი არ აკლიათ. სახსნილოს მრავალი მათგანი დიდ-ბედნიერ დღეებშიაც ვერ ნახვენ თვალით. მართალია მეწველი ძროხა ჰყავს ზოგიერთს, მაგრამ თუ რძეთ არ მოიხმარეს, სხვაფერ გამოყენება არ იციან. ყველის მომზადება მათში იშვიათია. ღვინის ნაცვლად ხმარობენ მჟავე სასმელს (კვასს), მაგრამ ზოგიერთს იმისი შოვნაც უჭირთ. მართალია ძრიელ სმენ ზოგიერთი მათგანი არაყს, თუ ფული იშოვნეს, მაგრამ შესარგებლად კი არა. ამიტომ რომ ისეთი ჩვეულება აქვთ, როცა კი იშოვნიან უთუოდ დაითვრებიან. ზოგიერთი გლეხი, ნამეტურ თუ ჯალაბი არა ჰყავს, მთელ კვირაში მონაგებს კვირა დღეს აფუჭებს არაყში. ამ უკანასკნელ დროში მაინც, როგორღაც ძლიერ გახშირდა რუსეთში სიმთვრალე და იდ ვნებასაც აძლევს ხალხს, რასაკვირველია, შელებს და არა გამყიდველებს. ამ ბოროტებაზე ძლიერ თავ-გამოდებულნი არიან ზეიერთი გაზეთების რედაქტორები. ისინი რჩევენ მთავრობას, რომ არაყის ბაჟი ძლიერ გაადიდოს, იქნება ამითი ცოტათ მაინც დაკლოს არაყის დუქნების რიცხვმა და შესუსტდეს სიმთვრალე. რუსის მემთვრალენი ყოველთვის პოულობენ თავის გასამართლებლად იზეზს. როცა დღესასწაულია, სმენ და იძახიან „დავლიოთ დღესასწაულიაო“. როცა ლოტათ ჯავრიანათ არიან, სმენ და იძახიან: „დავლიოთ ჯავრის გამო“. (съ горя). ესე იგ ვითომც სმენ მისთვის, რომ ჯავრი განაროონ.

სიღარიბე აქაურ გლეხებს ტანისამოსედაც ეტყობათ. ზაფხულში ისინი იცმენ ელის ძაფისგან მოქსოვილ ტილოს პერანგს დ უბრალო რუსის შალის ჩოხას. ფეხებზედ არავთ თელის კანისაგან დაბანდული ქალაბები. ზამთარში კი ჩოხების ნაცვლად ცხვრის ანუ სხვის რისმეს ტყავები აცვიათ. საზამთრო ფეხ-საცმელები ამათი ძლიერ კარგია, მაგრამ სიძვირისა გამო ბევრი ვერ ყიდულობენ. ის ღირს კარგი ორი მანეთი, მდარე ათი შაური. ის არის წაღების გვარად მოთელილი ბეწვებისაგან, როგორც ჩერქეზული ნაბდები, ანუ ონური ქეჩები. ეს ფეხ-საცმელი ძლიერ რბილი და თბილი არის. მე ვკითხე ჩვენში ნამსახურ სალდათებს: „ზამოდგება ჩვენში ეს ფეხ-საცმელი თუ არა თქო“? მაგრამ მათ უარი მითხრეს, იმის გამოთ, რომ ჩვენში ქვიშიან-ქვიანი ადგილებია. ბლეხების ცოლები ბევრათ არ განირჩევიან ჩაცმით თავიანთი ქრმებისაგან; როგორც ზაფხულში, ეგრეთვე ზამთარში, თვინიერ მისა, რომ მათ ქუდის მაგიერათ თავსაფარი ხურავთ. ეს უკანასკნელიც რომ არა ჰქონდეთ, მათი განრჩევა ძნელი იქმნებოდა პირველ შეხვედრაზე მამა კაცებისგან. ერთი სიტყვით აქაური გლეხის დედაკაცები თავიანთი შალის ჩოხით და თელის ქალამნებით ჩვენ ონელი გლეხების ცოლებს მოგაგონებთ, რომ ნახოთ.

აქაური გლეხების სიღარიბის მიზეზს თუ იკითხავთ, პირველად მიწის სიღარიბე უნდა იყოს,-განსაკუთრებით ჩრდილოეთის გუბერნიებში. მეორე მიზეზი ის არის, რომ გამქრალ გლეხების ბატონებზე დამოკიდებულება ისე დაუცია და დაუჩაგრავს ისინი, რომ მათ წარმატება და წელში გამართვას დიდი ხანი დასჭირდება, თუ კარგა დააკვირდება კაცი მათ გონებითს და ზნეობითს დაცემულობას. რაც შრომის მოყვარეობას შეეხება, აქაური გლეხები არ არიან ზარმაცები. არა თუ მხოლოდ მამა კაცები, არამედ დედა-კაცებიც კი ღვრიან ოფლს ყანებში, მაგრამ სარჩოს მოწევა მაინც უჭირთ.

ეჭვი არ არის, ჩემი ფიქრით, რომ ჩვენი გლეხები უფრო წინ არიან აქაურ მუშა-გლეხებზე ყველაფრით. მართალია, განათლებას ორივენი მოკლებულნი არიან; მაგრამ ჩვენ გლეხებს უფრო ეტყობათ სიცოცხლე და სიკეთისკენ მიწევა, ვიდრე აქაურ გლეხებს. ჩვენებური ჰაერის, ადგილის მდებარეობის და ამაყი გულის წყალობით, ჩვენი გლეხები ისე დაცემული არ არიან მონაობის უღელით, როგორც აქაური გლეხები. ჩვენ იმედი უნდა გექონდეს, რომ ჩვენი გლეხები მალე გაუსწორდებიან თავიანთ უწინდელ ბატონებს შეძლებით და კეთილ მდგომარეობით. აქ კი, როგორც აქ მოვიხსენე, ეგრეთი თანასწორება ძნელი საქმეა. ბარდა ამისა ჩვენებური ნიადაგის სიკეთის წყალობით, ჩვენში საზოგადო შიმშილი მუშა ხალხისა იშვიათი საქმე არის. შიმშილი ჩვენ ქვეყანაში, როცა კი მოხდება, მხოლოდ რომელიმე საქართველოს ნაწილებში. ამ გვარ დამშევისაგანაც ადვილათ იხსნიან მომავალში ჩვენი გლეხები თავს, თუ ღმერთმა ქმნა, და იმათ სოფლებში პურის მაღაზიები გაახშირეს და გაადიდეს, რომლების საფუძველი უკვე დააწყეს. ამ მაღაზიებზე და მათ სარგებლობაზე მინდოდა უფრო გამეგრძელებია ლაპარაკი, მაგრამ ... ლის სიმოკლე არ მაძლევს ნებას.

ბ. წყალტუბელი.

1868 წელსა 25 მარტს.

პოლიტიკა.

ანგლია.

ბლადსტონის წინადადება. ბლადსტონმა შეიტანა საზოგადოებათ პალატაში რეზოლუციის ფორმით წინადადება, რომლითაც უნდა აღინიშნოს ანგლიის ეკკლესიის მდგომარეობა ირლანდიაში. ეს წინადადება არის შემდეგი: 1) პალატა საჭიროთა ჰრაცხს, რომ ირლანდიაში დაწესებულ ეკკლესიას ჩამოერთვას თავისი სახელმწიფოებითი თვისება (ტაშის კვრა ოპპოზიციის მხრითა), რომელთანაც სამართლიანი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველსაგე პიროვან ინტერესსა და კერძო პირების საკუთრების უფლებასა (ტაშის კვრა და დაცინვა მინისტრების მხრითა); 2) დაევმყარებით რა ზემოხსენებულ სიტყვებზე, საჭიროა, რომ განრინებულ იქმნას ყოველივე ახალი პიროვანი ინტერესის განწესება ხელმწიფობის მფარველობითა (ტაშის კვრა) და სასულიერო წოდების საქმის უფლება უნდა შემცირდეს ირლანდიაში—იმ საგნებითა, რომელთაც საჭიროება დაუყოვნებლივ მოითხოვს, და ანუ იმითი, რასაც მოითხოვს პიროვანი უფლება,—მანამდის, სანამ პარლამენტი საქმეს უკანასკნელათ გადასწყვეტდეს; 3) მიერთვას მის დიდებულებას, დედოფალს სათხოვარი, რათა ბრძანება მოსცეს ზემოხსენებულ ჰაზრების ასასრულებლათ, რომ პარლამენტს გადმოეცეს საეპისკოპოზო და საეკკლესიო შემოსავალი ირლანდიაში (ტაშის კვრა ოპპოზიციის მხრითა). ბაზეთი „ტაიმსი“ ამაზე ამბობს, რომ დედოფლისათვის რომ ჩამოერთვათო საეკკლესიო შემოსავლის გამგებლობისა და დარიგების უფლებაო, ეს მეფის უფლების წარტაცებას

ზოთ მომიკლავს. ბინდათ სიკვდილით დამსაჯოთ. დამსაჯეთ.

ამ გონიერმა ლაპარაკმა ყველას განულვიძა მისადმი თანაგრძნობა და ცხადათ სჩანდა, რომ ხილულ მიზეზებს გარდა, რომელიც კანონს ყოველთვის მხედველობაში აქვს, როცა დამნაშავეს გაასამართლებენ ხოლმე, იმ ხილულ მიზეზებს გარდა კიდევ სხვა ზნეობითი მიზეზებიც არიან, რომელთაგამო დამნაშავე ძალდატანებით ჰხდება ბოროტ მოქმედ კაცად და რომელთაზედაც კანონს კი სრულებით ყურადღება არ მიუქცევია და არ შედის ამ შესაწყნარებელ მიზეზების განხილვაში.

შედაეება გათავდა. პრეზიდენტმა ნათლად და ვითომც მიუდგომელათ წარმოსთქვა თავისი აზრი.

— ბოროტი ცხოვრებისა და გასაოცებელ ხასიათის ძლოდმა დაიწყო უკანონო ცხოვრება როსკიპთან; შემდეგ ქურდობაც გაბედა და ბოლოს მკვლელიც შეიქმნა.

რასაკვირველია, ეს ყველა მართალი იყო.

ვიდრე ნაფიცნი გავიდოდნენ მეორე ოთახში სარჩევლათ, თავსმჯდომარემ ჰკითხა: იმისთანა სათქმელი რამ ხომ არა დაგრჩენია რაო, რომ მხედველობაში იყოს მისაღებიო?

— ცოტა კიდევ დამრჩაო ძლოდმა უპასუხა.—მაგრამ აი რას მოგახსენებთ. მე ქურდი და მკვლელი ვარ.

მოვიპარე და კიდევაც მოვკალი. მაგრამ რისთვის მოვიპარე, ან რისთვის მოვკალი? ძმანო ნაფიცნო! ბოთხოვთ, ეს ორი კითხვაც სხვებს შორის განიხილოთ.

— მოლაპარაკება მეოთხედ საათზე მეტს გაგრძელდა და ამ თორმეტის მომრიგებელი ნაფიცების გადაწყვეტით ძლოდ ბოს სიკვდილით დასჯა გადაუჭრეს.

თუმცა მართალია, რომ, როცა შედავება გამართეს, ბევრმა ნაფიცთაგანმა ყურადღება მიაქცია სიტყვას „ბ ო“, რომელიც ფრანცუზულათ ნიშნავს გ ლ ა ხ ა კ ს, ღ ა რ ი ბ ს და ამ სახელმა ბევრი იმათგანი ჩაფიქრა.

როცა ძლოდს განაჩენი წაუკითხეს, იმან მხოლოდ სთქვა: ე გ ხ ო მ ე გ რ ე ა. მ ა გ რ ა მ რ ი ს თ ვ ი ს მ ო ი პ ა რ ა, რ ი ს თ ვ ი ს მ ო ჰ კ ლ ა მ ა გ კ ა ც მ ა?—ე ს ხ ო მ მ ა ი ნ ც ა რ ა უ ხ ს ნ ი ა თ?

როცა საპყრობილეში დაბრუნდა ის ქეიფიანათ შეექცა ვახშამსა და სთქვა:

— ოცდა თექვსმეტი წელი ვიცოცხლე!

ძლოდს არ უნდოდა, საკასსაციო სასამართლოში რომ აპელაცია მიეცა.

ერთი და გულლმობიერებისა (сестра милосердія) ცრემლით სთხოვდა, რომ საჩივარი შეეტანა. ძლოდი მხოლოდ იმის პატივის ცემით თანახმა გახდა აპელაციით ჩივილზე. მაგრამ, როგორც სჩანს, უკანასკნელ ჟამამდე ვერ გაუხდიათ თანახმა, ამისთვის რომ, ხელს როცა აწერდა, სამი დღის სააპელაციო ვადა კიდეც გასულიყო. გულლმობიერების დამ მისცა ხუთი ფრანკი. (*) ძლოდმა მადლობა უთხრა.

აპელაციის განხილვის დროს ტუსაღები ურჩევდნენ და კიდეც აძლევდნენ გაქცევის ღონისძიებას.

ყველას ჰსურდა თავი შეეწირა იმისთვის. ძლოდმა უარი სთქვა. ტუსაღებმა გადაუგდეს ყურდასაგდებელ ფანჯრიდგან ლუსმანი, რკინის თოკი და ვედროს ყური. ძლოდისთანა მოხერხებულ კაცისთვის თითო ამ იარაღთაგანიც საკმაო იქნებოდა, რომ ბორკილი გაეტეხა. იმან მისცა მეტუსაღეს რკინის ბაწარი, ლუსმანი და ვედროს ყური.

1832 წელს 8 ივნისს დადგა დრო ძლოდის სასჯელისა. იმ დღიდგან, რაც დირექტორი მოეკლა, შვიდი თვე და ოთხი დღე გასულიყო.

იმ დღეს დილის შვიდ საათზე სატუსაღოში შევიდა სასამართლოს მეპროტოკოლე და გამოუცხადა ძლოდს; ერთი საათის სიცოცხლე კიდევ ღა დაგრჩენიაო.

იმის საჩივარს პატივი არა ჰსცეს.

— წუხელის კარგა შეძინა, თუმცა ვიცი, რომ ამაღამ კიდევ უფრო ტკბილათ დავიძინებო.—სთქვა ძლოდმა.

— როდესაც სიკვდილი ახლოა, მაშინ სულით ღონიერმა კაცებმა მხნეთ და დიდებულათ იციან ლაპარაკი.

ჯერ მღვდელი მოვიდა, შემდეგ მეხლმე. პირველს სითავმღაბლით მიეგება, მეორეს მოთმინებით.

სულის და ხორცის დანებებაზე უარი არ უთქვამს. ძლოდს სიმამაცე არ დაჰკარგვია. როდესაც თმას კრეჭავდნენ, ვიღამაც ხოლერაზე ჩამოაგდო ლაპარაკი და სთქვა, რომ ტრუაში ძალიან შიშობენ, ვაი თუ მალე გაჩნდესო.

— მე კი ხოლერის აღარ მეშინიანო—სთქვა კლოდმა ღიმილით. მღვდელს ძალიან ყურდაგდებით უსმენდა, ბევრში შერაცხა თავის თავი დამნაშავეთ და სწუხდა, რომ სარწმუნოების ჭეშმარიტებანი არა მცოდნებიაო.

ძლოდმა მოითხოვა და მისცეს მაკრატელი, რომლითაც უნდოდა თავი მოეკლა. ერთი პირი მოტეხილი ჰქონდა. ძლოდის მკერდში გამტყდარ იყო. იმან სთხოვა მეტუსაღეს, რომ ის მაკრატელი ალბენისთვის მიეცათ და ამასთანავე დღევანდელი ჩემი კერძიც იმას მიეცითო.

როდესაც ხელები უკან გაუკრეს, იმან ისურვა, რომ მარჯვენა ხელში ხუთ ფრანკიანი ჩაედვათ, რომელიც გულლმობიერების დამ აჩუქა; ეს ერთად ერთი ნივთი კიდევ დარჩენოდა თავის საკუთრებად.

რვა საათს ერთი მეოთხედი აკლდა, როცა ძლოდი წაიყვანეს დასასჯელს ადგილს. უკან მისდევდა დასჯილთ კრება. ძლოდი იყო ფერმკრთალი, მაგრამ გულმაგრათ მიისწრაფოდა და თვალები მიეპყრა ჯვარ-ცმაზე, რომლითაც მღვდელი წინ მიუძღოდა.

ბაზრის დღე იყო. ამ დღეს იმ განზრახვით დანიშნეს ძლოდის დასჯა, რომ, რაც შეიძლება, ბევრი მაყურებელი ყოფილ იყო.

სასჯელში მიცემული ნელ-ნელა შედიოდა ეშაფოტზე და ჯვარ-ცმას თვალს არ აშორებდა.

უნდოდა მღვდელს და მეხრმლეს მოხვეოდა, რომ პირველისთვის მადლობა შეეწირა და მეორესთვის მიეტევებინა. მაგრამ, როგორც სამოსამართლო ცნობებშია მოხსენებული, მეხრლმე წყნარათ განშორდაო. როცა მეხრმლეს თანაშემწემ მიაკრა ის საშინელს მანქანაზე, ძლოდმა ანიშნა მღვდელს, ხუთ ფრანკიანი ხელიდგან გამომართვიო და ამასთანავე უთხრა:

— ბ ლ ა ხ ე ბ ს მ ი ე ც ი ო.

ამ დროს ქალაქის საათის ზარებმა რეკა დაიწყო და ძლოდის სიტყვებს მღვდელმა ყური ვერ მოჰკრა იმის გამო. ძლოდმა ცოტა მოითმინა და სანამდის საათი მეორეჯერ დაჰკრავდა, განუმეორა:

— ღ ა რ ი ბ ე ბ ს მ ი ე ც ი ო.

ჯერ საათს რვა არ დაეკრა, რომ ეს ჭკუიანი თავი ძირს გადმოგორდა.

მანქანას სისხლი კიდევ არ შეშრობიყო, რომ ბაზრის ხალხი აბუნტდა და რაღაც ბაჟის გამო ერთი საქციზო მოხელე კინაღამ მოჰკლა.

(*) ფრანკი ხუთ შაურს უდრის.

ეგვანებოდაო. ამისათვის ბლადსტონმა კარგი ჰქმნაო, წინა დადება წარმოადგინა, რომ დედოფალს ადრეული მიართვან და სთხოვონ, რომ თავისი უფლება ირლანდიის საეკკლესიო და საეპისკოპოზო შემოსავალზე პარლამენტს გადმოსცეს. ამ გვარათ შეეძლება პარლამენტს ისე მოეპყრას ამ ქონებასა, როგორც საჭიროთ დაინახავს.

—

ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲓᲒᲐᲜ. ლონდონის გაზეთების სხვა და სხვა საგნებზე (ირლანდიის საქმეზე, დარზე. ვოლონტერების მანევრებზე) დაწერილ წინა სტატიებში არის მოტანილი პარიჟის ამბავი ომიანობის ხმებზე. ერთი ანგლიური გაზეთი Morninq Herald-ი ამ ხმებს არ ერწმუნება, რადგანაც ისეთი მიზეზი არა აქვს რაო ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲡᲐ, რომ ომიანობა გამართოსო და თანა მომხრენი იშოვნოსო. ამ ხმების დაგდების მიზეზი არისო ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ გაზეთების შეეიწროებული მდგომარეობა, რომლისა გამოთაც გაზეთებს, რადგანაც არ შეუძლიათ შინაურ საქმეებზე ლაპარაკი, გარეთა საქმეებზე იცლებიანო. ამასთანავე ზემოხსენებული გაზეთი მოიხსენებს ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲘᲡ სახელმწიფოების შეიარაღებასა და ამბობს: „ჩვენ არ ვკიცხავთ არც ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲡ, არც ᲞᲠᲣᲡᲘᲐᲡ. მაგრამ არ შეგვიძლია, რომ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲘᲡ ეხლანდელი მდგომარეობა გულდასაჯერებლათ მივიღოთ, როდესაც ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ 1,200,000 კაცი და ჩრდილოეთ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘᲐᲪ თითქმის ამდენივე სული მშვიდობიანურ საქმეზე მოუშორებიათ და ლაშქრობის საქმეს ასწავლიან, რომ ბოლოს საომრათ გაიყვანონ.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ მთავარ ეპისკოპოზმა გამოაცხადა გრძელი წიგნი, რომლითაც ამტკიცებს, რომ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ უბედურ მდგომარეობას (შიმშილობას) ბოლოს ის მოუღებსო, „როდესაც მცხოვრებლები ან კათოლიკის (ფრანგის) სარწმონოებას მიიღებენ, ან ხალხს აჰყრიან და იქიდგან გარეკენო.“

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ.

ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. მარტის 29 (აპრილის 10). ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მმართებლობა, როგორც ეტყობა, კარგა ცდილობს რომ ჩერქეზები დაასახლოს ბოლგარიაში, რადგანაც ამ გვარათ იმედი აქვს მაჰმადიანობა გაავრცელოს, რომ იქ მცხოვრები ქრისტიანები არ აიშალნონ ოსმალოს მმართებლობის წინააღმდეგ. ეს გარემოება იქაურ ქრისტიანებს არ ამშვიდებს და პირ იქით ძალიან დრტვინვენ მთავრობაზე. ამბობენ, ქრისტიანების თემებს ბრძანება მისელიათო, რომ ჩერქეზებისთვის გააკეთონ ხულა-ქოხები და რაც ოსმალოს ჯარისათვის სამსახურია საჭირო, ჩერქეზებსაც უნდა აუსრულონ.

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘ 21 მარტს (2 აპრილს). ამ წელს საღდგომოთ, როგორც ყოველთვის, მლოცველები ბევრნი ყოფილან უფრო სომხები, მერე რუსები, მასუკან ბოლგარები, და საერთოთ ბერძნები, კოპტები (ეგვიპტიდგან), აისორები, ვალახები, ქართველები, აბისსინიელები, ევროპიელი მოგზაურები და საკუთრათ ანგლიელები. სალოცავათ იქ მისულა აბისსინიის ერთი მთავარი და, ამისა გამოთ, თუ სხვა რაღაცა მიზეზისა გამო, ჭორი მოიგონეს, რომ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲨᲘ ᲐᲜᲢᲔᲥᲠᲘᲡᲢᲔ გამოჩნდაო და სულებსა ყიდულობს ხუთ-ხუთ შაურათაო. ერთმა გლეხმა თავისი სული მიჰყიდა და ბარათი დაუწერა ᲐᲜᲢᲔᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ვილაცა მოციქულსაო; მერე ძალიან სინანულში შევიდა და დიდი ხანი დაეძებდა თავის მაცდურსა, მაგრამ ვერ იპოვნაო. ბოლოს ცოლმა მონახა ის ეშმაკი, ფული უკანვე დაუბრუნა და ნასყიდობის წერილი გამოართო, შინ დაბრუნდა, მაგრამ ქმარი შუაზე შაყათ ნაქცევი დახვდაო. სად მოხდა ეს ამბავი, ან ვინა ნახა, არავინ კი არ იცის.

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲨᲘ ძალიან ბევრნი არიან ღარიბნი მლოცველები და სიღარიბისაგან, და ფეხით იქ სიარულისაგან მრავალნი ავათმყოფობაში არიან და იხოცებიან კიდეცა.

მარტის 23-სა ახალი კათოლიკეთ ეკკლესია უნდა აკურთხონ „სიონის დათ“ საღარიბოს სახლთანა. ეს ეკკლესია იმ თაღთან არის რომელსაც უწოდებენ (პილატეს სიტყვას) „აჰა კაცი იგი“. ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲘᲡ ეპიზკოპოზმა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛ რამდენჯერმე სწირა ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ ეკკლესიაში და აგრეთვე ჯერის (ქართველთ) ეკკლესიაში ამ საყდრის დღეობას.

—

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ.

ნიუ-ᲘᲝᲠᲙᲘᲓᲒᲐᲜ იწერებიან მარტის 13 (25)-ს: ᲑᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ათი დღის ვადა გაეიდა პრეზიდენტის პასუხის მოსამზადებლათ. ხალხის შეკრებილება სამსჯაროში ძალიან დიდი იყო; ელჩების საჯდომ ადგილას სხვა და სხვა სახელმწიფოებისა ელჩები იყვნენ. პრეზიდენტის ადვოკატებს ერთი კიდევ მოემატა, ადვოკატი ᲑᲠᲘᲡᲣᲝᲚᲓᲘ, უ. ᲑᲚᲔᲙᲛᲐ კი უარი ჰყო პრეზიდენტის საქმის დაცვაზე. ᲑᲐᲜᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ დაწყებაში სენატორმა ᲰᲔᲠᲠᲘᲢ-ᲓᲔᲕᲘᲡმა სთქვა, რომ ამ სამსჯაროს, რომლისაც ერთი წევრი მე ვარო, უფლება არა აქვს პრეზიდენტის განსამართლებისაო. სამსჯაროს წევრებმა ერთ ხმათ გადასჭრეს, რომ ამ პროტესტს ყურადღება არ მიაქციონ. პრეზიდენტის დამცველმა ადვოკატებმა წამოსთქვეს პრეზიდენტის გამართლების სიტყვა. პეზიდენტმა ამ სიტყვაში გამოაცხადა, რომ რაც მომიქმედებია, სრული უფლება მქონდა, ისე მემოქმედაო. ის ამბობს, რომ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ მოგზაურობის დროს იმისი წამოთქმული სიტყვები უფრო ხშირათ ნამდვილი სიტყვები არ იყო დაბეჭდილი გაზეთებში, და ამტკიცებს, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს თავისი ჰაზრი წამოსთქვას. ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲛᲐ ხელმეორეთ ითხოვეს ოცდა ათი დღე ვადა. ამ თხოვნაზე უარი ჰყო სენატმა 41 ხმის ჭარბობით 12 ხმის წინააღმდეგ. ᲑᲠᲐᲚᲘᲡ მდებელებმა, წარმომადგენელთ პალატის დეპუტატებმა, პასუხის მიცემა პრეზიდენტის გამართლების სიტყვაზე მეორეს დღისთვის გადასდვეს. პრეზიდენტის დამცველი ადვოკატები ამან გააკვირვა. ეს პასუხი მარტივი პასუხია: „ჩვენ დავამტკიცებთ შეურყეველის საბუთებით, რაშიაც ᲑᲠᲐᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲕᲔᲑᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐ“. შემდეგი შეკრებილება იქნება ორშაბათს და შეუწყვეტლათ განგრძელდება ეს პროცესსი.

ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡᲐ დაიწყო მარტის 18 (30). სიტყვა წარმოსთქვა ᲑᲣᲢᲚᲔᲠᲛᲐ, რომელმაც ყოველივე ბრალის დება პრეზიდენტზე შეაერთა თავის სიტყვაში. ᲞᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ მოიხსენა ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ წარმოთქმული სიტყვები, რომლითაც პრეზიდენტი ცდილობდა კონგრესსისადმი სიძულილი ჩაეგდო ხალხში. ᲑᲣᲢᲚᲔᲠᲘ ამტკიცებდა, აგრეთვე რომ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ ვალდებული იყო აესრულებინა ის დებულება, რაც კანონათ იყო დადებული კონგრესსისაგან, რადგანაც უმაღლესს სამსჯაროს ეკუთვნის იმათი განხილვა, რომ შეეფერება კონსტიტუციასა თუ არა? და არა პრეზიდენტსა. მეორეს დღეს ბრალმდებელმა-ადვოკატებმა სამსჯაროში მოიტანეს საბუთები იმაზე, რომ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ თანამდებობის მიცემის დროს თავისუფლებას ამყარებდა კანონის დებულებაზე შესახებ თანამდებობის აღსრულების ვადის განგრძელებისა, და ამ გვარათ აღიარებდა კანონის ძალასა. უმაღლესი მსაჯული ᲩᲔᲖᲘ სენატის კრებაში თავმჯდომარე, აქამდის მსაჯულის უფლებას არ იჩემებდა, სენატში იმ წესზე იყო შეკრებილება, როგორც ყოველთვის, და არა ისე, როგორც სამსჯაროს შეეფერება. როდესაც ᲩᲔᲖᲛᲐ წარმოსთქვა თავისი ჰაზრი შესახებ ზოგიერთ მოწმების მოყვანაზე, ბევრმა სენატორებმა წინააღმდეგობა აღმოაჩინეს, რომ ᲩᲔᲖᲘ უფლება არა აქვს თავისის ჰაზრის მოცემისაო. მაგრამ სენატმა 31 ხმის ჭარბობით 19 წინააღმდეგ გადასწყვიტა, რომ უფალ ᲩᲔᲖᲘ ყოველივე უფლება მსაჯულისა მიეცემა, ესე იგი მოწმების ჩვენების მიღებისა და უარის თქმისა და თავისის საქმის დახედვით სხვა და სხვა წინადადება მისცეს სენატსა. ამასთანავე, იკითხეს: სენატის თავმჯდომი და პრეზიდენტის მომავალი მოადგილე ᲣᲐᲓᲔ-ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ პროცესსის დროს სენატის

ᲫᲚᲝᲓᲘᲡ სოცოცხლეში გარკეეეითა სჩანს ორი სხვა და სხვა ცხოვრების წრე: ერთი ეიდრე ზნეობით დაეცემოდა და მეორე დაცემის შემდეგ. ამ ორს წრეს მიჰყვება ორი საკითხავი საქმე: ᲔᲠᲗᲘᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ, მეორე ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ. მთელი საზოგადოება ამ ორს საგანს შუა ტრიალებს.

ᲐᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ შემკული, სულით და ხორცი მაგარი, ნიჭიერი. მაშ რაღა აკლდა?— ᲐᲑᲐ ეს არის საფიქრებელი.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ შემკული კაცი კეთილ მოქმედების წინააღმდეგი არ არის, არამც თუ არ არის, არამედ კეთილ მოქმედება იმის დანიშნულება უნდა იყოს. მაგრამ, როდესაც ამისთანა კაცის დაცემას ეხედავთ, ის, უეჭველად, მიეწერება თვით საზოგადოების უწესო ცხოვრებას და ურიგო დაწყობილებას. რა არის კაცის ზნის გამრყვნელი?— ᲪᲣᲓᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ და კაცის მჩაგვრელი საზოგადო დაწყობილება.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲙᲐᲪᲖᲔ ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲘᲖᲠᲣᲜᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ.

მაშინ სამსჯაროები და იმისი სასტიკი გადაწყვეტილებაც მოისპობა ქვეყანაზე: როცა დანაშაულობა აღარ იქნება, სამსჯაროებიც რაღა საჭიროა.

ᲐᲘ შეხედეთ ᲫᲚᲝᲓ ᲑᲝᲡ. იმას უეჭველად მრთელი ტვინი და მრთელი გული აქვს. მაგრამ ბედის-წერა ასეთს ავათმყოფ-საზოგადოებაში აგდებს, რომ ის ქურდათ ჰხდება; ისეთს ᲪᲣᲓᲡ საპყრობილეში აგდებენ, რომ კაცისკელით აბოლოვებს თავის ცხოვრებას. მართლად, რომ ვიკითხოთ, ვინ არის აქ დამნაშავე?...

ᲞᲘᲠ-ᲣᲗᲜᲝ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲡ.

—

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲕ“! ჩვენო ქართულო გვრიტო,
ᲤᲠᲗᲐ დაწერილო ᲭᲠᲝᲛᲐᲮᲝ ჩიტო!
ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲔᲑ ჩემის, ამ ლექსის ᲭᲐᲨᲜᲘᲙᲡ
ᲓᲐ მისთვის ეზო არ დამიკლიტო.

ᲯᲔᲠ ეს ᲭᲐᲨᲜᲘᲙᲘ შენ დაამთუარე,
ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲔ, ყოვლგნით შემოუარე;
ᲐᲠ მოგეწონოს—სხვას ნუ მოსცდები,
ᲗᲣ მოგეწონოს ᲤᲠᲗᲐᲡ მიიფარე.—

ᲬᲘᲜ გვიფრიალე, სულ გვიფართქუნე,
ᲤᲠᲗᲘᲗ გაგვირეკე ჩვენ სიძაბუნე;
ᲣᲔᲚᲐᲡ ᲯᲒᲣᲤ-ᲯᲒᲣᲤᲐᲓ ჩამოურიგდი,
ᲨᲔᲒᲕᲬᲧᲕᲔ ძმები შეგვათაბუნე.

ᲣᲗᲮᲐᲠᲘ, რომ „ვართ შურის ძლეული,
ᲗᲣᲐᲠᲐ „ჩვენ“—„მე“ ვართ-ერთი სხეული;
ᲗᲣ უმეცრულმა გაყრამ დაგვშალა,
ᲐᲬ შევდგეთ, როგორც ცნობის წვეული!

ᲜᲣ ვიწყებთ ისევ შიგნით ღრენასა,
ᲔᲠᲗᲘ-ᲛᲔᲝᲠᲘᲡ სავნო წყენასა;
ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ საქმითა სული ჩავუდგათ,
ᲜᲣ ᲕᲡᲫᲠᲐᲕᲗ ამოდ მარტო ენასა!

ᲕᲘᲒᲠᲫᲜᲝᲗ ჩვენ დიდი, მკვიდრი ახალი,
შესამყარები, საერთო ძალი:
ᲒᲕᲔᲛᲗᲮᲕᲘᲐ ყოვლის კაცის მკაცები,
ᲛᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘ სჯული და სამართალი.

ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ შევაწყოთ თანა-ხმა ხმები,
ᲭᲙᲣᲐ-ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ გავუხსნათ გზები,
ᲔᲠᲗᲘ-ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ერთად ვშველიდეთ,
ᲠᲝᲛ ვიყოთ სწორედ მართალი ძმები.

ᲛᲮᲐᲠᲘ მოვხვიოთ ერთმანერთს ძმური,
ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ მამულის ჩვენ სამსახური,
ᲔᲠᲗ-ᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ მგზებარე გულში
ᲩᲐᲕᲡᲬᲕᲐᲗ სამშობლოს დამმხობი შური!

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲜᲔᲚᲝᲗ შურისა ბანგი,
ᲒᲐᲕᲮᲔᲗᲥᲝᲗ ჩვენი ᲛᲭᲔᲠᲘ ხაფანგი,
ᲓᲐ ერთ-ხმობისა დროს მოვიგონოთ:

. . . . . .

ᲓᲐᲕᲐᲛᲧᲣᲓᲠᲝᲕᲝᲗ შინ მრევი ქარი,
ᲓᲐᲕᲨᲣᲨᲓᲔᲗ ახლა წინ-ნაქუხარი,
ᲮᲐᲜ�გრძლივის ავდრით მოწყენილს მამულს
მივსცეთ ბრწყინვალე ერთობის დარი.

ᲐᲛᲘᲡ შემგვანი ნასასწაული,
შევქსოვოთ გული ლხინ-ნართაული,
ᲓᲐ გავითენოთ ასე დიდებით
ᲬᲛᲘᲜᲓᲐ საერთო ღღესასწაული:-

ᲩᲐᲜᲒᲘᲗᲐ შევხვდეთ სვეს მონატანსა
ᲓᲐ ვუგალობდეთ ამ დიდს საგანსა:

. . . . . .

. . . . . .

ᲜᲘᲙᲝ ᲛᲔᲒᲠᲘ.

1868 წ.
26 ფებ. ს. ᲑᲔᲗᲚᲔᲛᲘ.

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ.

ᲛᲝᲓᲘᲗ დარდებო, ალმივსეთ გული,
ᲣᲗᲥᲕᲔᲜᲝᲓ ვსწუხვარ თქვენი ჩვეული;
ᲗᲥᲕᲔᲜ კარგად იცით: მხიარულება
ᲐᲠᲪᲐ მქონია და არც მექმნება.

ᲗᲣᲛᲪ ერთის წამით, ვითარცა ელვა,
ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲗ ჩემის გულისა ღელვა;
ᲜᲐᲓᲘᲛᲐᲓ სხდომა, სუფრაზედ ლხენა,
ᲡᲐᲓᲐ ლაღობდა დამტკბობი ენა,

ᲐᲜ კეკლუცთ ახლოს შეუმჩნევია
ᲮᲐᲜგრძლივ ალერსი, არ დამლევია
ᲓᲐ თითქო მეტი არა მქონია
ᲐᲠᲪᲐ რამ ფიქრი, არც მწუხარება,
ᲐᲜᲣ ვისმესგან გაუგონია
მხიარულების ჩემისა ქება,

ᲓᲐ მითი ჰფიქრობს კარგად მიცნობდეს:
ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲪ ჩემი იცოდეს?
ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔ, რომე დიდათ შესცდება,
ᲒᲖᲐ დაეკარგვის ვერას მიხვდება.

ᲔᲡ !.. რასა ვუბედობ, ვინ საჭიროებს,
ᲐᲜ ვის რათ უნდა ჩემი გაცნობა,
ᲫᲛᲐ და მოყვასი უყურებს დროებს,
ᲐᲛ საუკუნეს არა აქვს გრძნობა.

ᲗᲣ ფულები გაქვს, ქებაც გექმნება,
ᲛᲐᲨᲘᲜ ყველანი ფეხს ქვე გეგება;
ᲓᲐ თუ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ არ გიძევს ფული,
ᲧᲝᲕᲚᲘ ღირსება არს დაკარგული.

ᲔᲡ კარგად ვიცი, მაგრამ კალამი
ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗᲐᲓ მორჩილებს აზრსა;
ᲗᲐᲕᲘᲡ დროების თვით იცის ჟამი,
ᲮᲐᲜ აწერინებს, ხან გაჰკრავს ხაზსა.

ᲠᲐ ვჰქმნა, მკითხველო, შენ გამიკითხე,
ᲠᲘᲗ დავაყენო უმაწვილი თავი,
ᲒᲘᲟᲘ რამ არის; თუნდა სხვებს ჰკითხე,
ᲐᲠᲪᲐ კლიტე აქვს, არც მოსართავი.

ᲬᲐᲛ არს ᲞᲐᲠᲘᲫᲨᲘ ლხინით ალვსილი
ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲡᲐ კავშირს უქადებს;
ᲬᲐᲛ მასკარადში მისი გაყრილი
ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲡ ქალს გრძნობას უცხადებს.

ᲬᲐᲛᲘᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ რიტორი სრული
ᲞᲐᲚᲛᲔᲠᲡᲢᲝᲜᲡ ართმევს მინისტრობასა;
ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ სდევნის ვით ცუდი სჯული.
ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ გაიყოფს და იქმს კრებასა;
ᲮᲐᲜ ოქროს ეძებს ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ.
ᲘᲜᲓᲝᲔᲗს იბრძვის, პოლკას ტანცაობს;
ᲮᲐᲜ ღვინოსა სვამს ᲥᲐᲮᲔᲗᲘს ბაღში,
. . . . . მოდის და მასხარაობს.

ᲤᲐᲖᲔᲚᲘ

ᲐᲑᲘᲜᲘ 1860 ᲬᲔᲚᲡᲐ.

—

შეკრებილებაში უნდა დაესწრასო თუ არაო? ამაზე უპასუხეს, რომ უნდა დაესწრასო.

სხვა და სხვა ამბავი.

მიწის ძვრა ტფილისში.

აპრილის 11 დილით 6 საათზე, 18 მინუტზე და 53 სეკუდზე ტფილისში კიდევ მიწის ძვრა მოხდა; მაგრამ ისეთი სუსტი იყო, რომ არც შერყევის მიმართულობა და არც შერყევის ზომა შეუმჩნეევიათ

ამ მოხსენებულ ამბავს გაზეთი „კავკაზი“ უმატებს პლატონ იოსელიანის გამოძიებასა: ამ ხანებში მოხდენილმა მიწის ძვრამ ტფილისში დაჰბადა საზოგადოებაში სხვა და სხვა განსჯა, ამის გამოთ პლატონ ეგნატის ძემ იოსელიანმა მოიწადინა ქართულ მატიანებში გამოძიება: ყოფილა უწინაც მიწის ძვრა, ან დაწერილია, და რა შედეგი ჰქონიათ იმ მიწის ძვრათა. იოსელიანის გამოკვლევა შემდეგია: „ლეონ იასავრიელის მეფობასა (711—741) ქოსტანტინოპოლის დაქცევის დღესა ტფილისშიაც ყოფილა მიწისძვრა. „ოდვისათვის იმპერატორისა, რომელმაც წმინდა და პატიოსან ხატების დევნა ასტეხა, ღმერთმა გამოუჩინა ხალხს თავისი რისხვა“ ასე სწერდა ქოსტანტინოპოლის პატრიაქობიდგან ჩამოყენებული ბერმანოსი საქართველოს მეფესა. ეს შენიშვნა ვიპოვნე ერთის ძველის ხელნაწერის ღავითნის ფურცლის ნაპირებზე. რომელ მეფესა სწერდა პატრიარქი ან რა შედეგი ჰქონდა ამ მიწისძვრასა, არ არის მოხსენებული.— ერეკლე მეორის მეფობაში 1770 წლის ახლო წლებში, იულონ ბატონიშვილის ქორწინების დღე დაიწყო მიწისძვრა და 40 დღე განგრძელდა (მაისში და თიბათვეში) და მეფემ და მოქალაქეებმა სახლებს თაკი დაანებეს და ქალაქ გარეთ დაიხიზნენ კარვებში და გაშლილი ცის ქვეშა. მიწა იძვროდა დღეში 3 ჯერ და 4 ჯერ. ძველი სახლები დაიქცა და ახლების კედლები დასკდა, სხვა შედეგი არა ყოფილა რა.—1828 დიდის მიწის-ძვრისაგან სოლოლაკის მთაზე კლდე დაიქცა; ეს ჩაქცეული დღესაცა სჩანს.“

ქიზიყელები ინგილოებში.

(დასასრული.)

მაშ, ჩემო ბატონო ქიზიყელო, ნუ გამიწყრები, რომ მე შენ გაძაგებ იმ ზარმაცობისა, სიდამბლავობისა და უფაქიზობისათვის, რომელიც შენ მოგგვარა სიღარიბემ. მე ვითარცა მწერალი და მეძიებელი ცხოვრების ურიგო მოვლენაების მიზეზებისა, რაში ვარ დამნაშავე? მე გულში არავისზე არა ვითარი ხაინათობა არა მაქვს. ძვირი ეშმაკის საქმეა; მე კაცი ვარ და ყოველი კაცური არა არს ჩემგან შორს. მაგრამ თუ შენ არ დაიშლი და მუდამ იმას იტყვი, რომ მე ქიზიყელებს ვაძაგებ და მძულან, მე გეტყვი პოეტის სიტყვას:

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდამვე ჩვენ ქართლის ბედმა
და დაე გვძრახონ — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ილ. ჭავჭავაძე.

ჩემს სიძულილში არავარგ ცხოვრებისადმი რაოდენიც სიყვარულია ქიზიყელებისადმი, ამას თუ ბრიყვი გონება კაცისა ვერა სცნობს, ხომ იცის ღმერთმა, რომ ჩვენი სიყვარულით და კეთილი წადილით სავსეა. ახ ღმერთმან ინებოს, რომ მათ აღყვავებული ცხოვრება ჰქონდეთ. მეც ისა მსურს, რომ ქიზიყელმა ახალი უმჯობესი ცხოვრება მოიპოვოს და მისი ჩამქრალი ცხოვრება აღვიდეს და გაფოლადიანდეს. მე მსურს მას შთაებერო სიზიზღე უმისმილო ცხოვრებაზე, შეუცვალო ძველებური შეხედულობა ცხოვრებაზე, შთაებერო მომეტებული ენერგია შრომისათვის, შთაეგონო სწავლის საჭიროება ცხოვრების გასაუმჯობესობლათ და გასაფაქიზიანებლათ. ამისათვის რომ ჩვენ დროს, როდესაც სამეურნეო მოქმედება ცხოვრებისა გასაუმჯობესობლათ პირველ სახსრათ მიაჩნიათ და ყველანი პატივსა სცემენ, აზრი, მოსაზრება ძლიერ ადვილათ შეუძლიან კაცს საქმეში მოიხმაროს, და ხალხი, რაც გინდ არავარგს მდგომარეობაში იყოს, მაინც და მაინც მთელს თავის ყურადღებას მიაქცევს სასოფლო მეურნეობას, მეხანიკას და ტეხნოლოგიას, შეიძლებს გაიხსნას თავისი ფაბრიკები, გააუკეთესოს ჯიში საქონლისა, მოიგონოს სხვა და სხვა ახალი და ახალი სახნავ-სათესი იარაღები და სხვ.; ერთის სიტყვით ხალხი, რაც გინდ შეეიწროებულ მდგომარეობაში იყოს, მაინც და მაინც მოუმატებს რასმე თავის სიმდიდრეს; ამასთანავე გამდიდრების დაგვარად ის შეიძლებს დაიცვას და წარმატება მისცეს მუშაობას, მოიპოვოს ჩვეულება და ნიჭი გონივრულათ შრომაზე, თუ კი, ის ცოტაოდენათ მაინც არის, განანათლებს ჭკუა-გონებას. ჯერ ჭკუა-გონება უნდა იყოს დაწმენდილი წიგნის სწავლითა და განათლებითა, ჭუჭყიანი გული იყოს ცხურებული ლმობიერების ზეთით, რომ იგი მოლბეს და განამდეს და მერე სიფაქიზე და გონივრული შრომა შეიყვარიოს. უამისოთ კაცი ვერაოდეს ვერ გამოვა სიღარიბისა და სიჭუჭყისაგან. მაშ ეს თუ ასრეა, ქიზიყელი უნდა მიეშუროს თავის ახალ თაობის განათლებას.

არამც თუ კაცის კერძოობითი ცხოვრება, არამედ მთელი ხალხის ისტორიაც სხვა და სხვა წვრილმანი გარემოებისაგან წარმოშობილ შემთხვევათაგან შესდგება. ამისა გამო, თუ ეს შემთხვევანი კაცმა კარგათ იცის, რამოდენათმე ნამდვილს დასკვნა გამოიყვანს, თუ რა შედეგი ექნება ამაებით შემდგომს ხალხის ცხოვრებას. მაშა სადამე მეც შემიძლიან ვიფიქრო, რომ ჩემს დასკვნას რამოდენათმე სიმართლე აქვნდეს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თუ ქიზიყში დიდხნობამდე გასწია ამ გვარმა უმოსაველობამ, და ხალხი გაუნათლებელი დარჩა, უთუოთ ის მოიფანტება უფრო მოსაველიან საქართველოს მაზრებში. მე ქიზიყს ამას არ ვუწინასწარმეტყველებ; აქ ჯერ საქმე ამაზე არ მიმდგარა, აქ ჯერ ბევრია მდიდარი კაციცა საქონლით და ფულით, მაგრამ, მკითხველო, კარგათ დაიხსოვე, რომ ქიზიყში მომეტებული ნაწილი ხალხისა არის უმამულო და ძლიერ ღარიბი, ასე რომ მათგანი არა ერთი და ორი, მეტადრე დედაკაცები უმოსავლო წელიწადში იქვე სოფლებში ერთი კუჭის გაძღომაზე მუშაობენ. დედაკაცები ან ერთ კასრ ფქვილზე, ან ერთ მუცლის ხორაგზე უმუშავებენ ხოლმე რამდენსამე დღეს უფრო შემძლებლებს. მაგ. მატყლს ართავენ, ბუმბულს არჩევენ, გასათხოვარ ქალს ხელსაქმეში შველიან, საბნებს ჰკერავენ და სხვ.

ეს ყველაფერი ქიზიყის ამბავი ასე დაწვრილებით ინგილომ საიდგან შეიტყოვო, ვგონებ, ამბობს მკითხველი. ნუ გიკვირს ჩემო ბატონო მკითხველო; რადგან მე ვარ დასიძეებული ქიზიყისაგან; ამისა გამო მე მათ ხშირათ ვესტუმრები ხოლმე. მაგრამ ეს კი არის, რომ მე, როგორც ქართველი იტყვის ხოლმე, უმადური კაცი ვარ; მასმევენ, მაჭმევენ, ოდესმე მათ ვესტუმრები; მაგრამ მაინც და მაინც ამ სიკეთის დახსომება არ ვიცი, და კიდეეაც ვცდილობ მათი სიცუდე საქვეყნოდ გამოვაცხადო. ეს მე იმისათვის მომდის, რომ მე, ჩემის ცუდის ხასიათისა გამო, კაცს მუცლით ვერ ვიმეგობრები და ვერ ვემოყვრები. მე მუდამ ისა მსურს, რომ კაცი აზრით და სიწმინდით დამიმეგობრდეს; თუ არა და ერთი ღვინის დალევინებით და კარგის მასპინძლობით მე კაცს არ ვაქებ და ვადიდებ. დიდება სიწმინდეს ეკუთვნის და არა ბოროტს. უმისმილო ცხოვრების ხვედრი ლანძღვა და კიცხვა გახლავთ, ჩემო მეგობარო მკითხველო; მე კი ასრე ვჯი, თქვენ კი ვითარცა გსურდეთ, ისრე იფიქრეთ.

მაგრამ, მკითხველო, ნუ იფიქრებ, რომ მე ამით ჩემს სტატიას ვათავებდე, მე იმის შემდეგ რაც დავწერე მსურს ერთი ორი სიტვა ვსთქვა ჩემს და ჩვენის მწერლების ჯღაბაზე, რადგან მსურს, რომ ქართველმა კაცმა შეიტყოს, თუ რამდენათ ეწევიან ისინი საქართველოს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობას. მემცხვარემ იცის, რომ იმას შრომისათვის ცხვარი მისცემს რძეს, ყველს, მაწონს, მატყლს და სხვ. მხვნელ-მთესველმა იცის, რომ მიწა მას მოსავალს მისცემს, აგრეთვე კალატოზმა და ფეიქარმა იციან, რას გამორჩებიან თავიანთ შრომას. მაგრამ ჩვენ მწერლებმა ვიცით, რა სარგებლობას მისცემს ხალხს ჩვენი მწერლობა? ბევრი გვყავს პრაქტიკული მწერლები? გვყავს სახალხო მწერლები? რასმე ვასწავლით ხალხს ჩვენის მწერლობით? ამ კითხვებზე მე პასუხს ვერ მივცემ მკითხველს და თუ მაინც და მაინც მათქმევინა, მე უნდა გავსტყდე და ვსთქვა: ჩვენი მწერლები ყველანი თითქმის გამოუცდელნი ვართ ცხოვრებაში და ძლიერ აღტაცებით ვჯით ყოველს კარგს საქმეზე, მრავალს ჩვენთვის სასიამოვნო ციხე-დარბაზებს ვაშენებთ ჰაერში; მაგრამ, რომ მოგვხედოს გონიერმა გამოცდილმა მწერალმა, უთუოთ შეგვატყობს, რომ ჩვენ კენჭის გადაბრუნებაც არ შეგვიძლიან ჩვენის მწერლობით და არამც თუ მით ხალხის ცხოვრება შეეძრათ. უთაფლო ბუზებსავით აქა-იქ დავფრინავთ და ხან ერთ საგანს ვაჯდებით კისერზე, ხან მეორეს და ვფიქრობთ, რომ ჩვენ ხეირს ვაძლევთ ჩვენის მწერლობით. უვავილებიდამ თაფლის მგროვებელი ფუტკრები ჩვენში ჯერ გვიან დაიბადებიან. უეჭველი, რომ ამ გვარი ჩვენი სისაწყლე ძლიერ საწყენია, უფრო ამისათვის, რომ ბატონ-ყმობა გათავდა და ამასთან ძველი დროებაც საუკუნოდ დაიღუპა. ამ შემთხვევით ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეპოქა. მაშასადამე ჩვენ ისრეთ დროსა ვცხოვრებთ, რომელიც ძლიერ შესანიშნავია და დიდს გონივრულს გაფრთხილებულს შრომას მოითხოვს ჩვენგან. დროება ჩვენგან ითხოვს, რომ ჩვენ ძველი ცხოვრების შენობა დავარღვიოთ და ახალი ავაშენოთ მტკიცე საფუძველზე. ეს ჩვენი პირდაპირი ვალია, მაგრამ ვასრულებთ ამ მოვალეობას? სრულიადაც არა, თუმც ამას ითხოვს ჩვენგან მომავალი თაობა. ეს ემზადება ჩვენ გაკიცხვას, თუ რასაც დროება ითხოვს, არ აღვასრულეთ. როგორათაც ყველა მუშას თავისი ხელობა აქვს და იცის რაში მოიხმარებს თავის ნაწარმოებს და ამ გვარათ საქმეს აკეთებს, აგრეთვე ჩვენც მწერლებს თავთავიანთი ალაგები უნდა დავიჭიროთ და ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ. როგორც დურგალი თავის სკამს რანდავს, აგრეთვე ჩვენც უნდა ვეცადნეთ არავარგი ცხოვრება გავრანდოთ, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ სინათლე და სითბო მოიპოვოს. თუ არა და რომლის განკითხვითა განვიკითხავთ ჩვენ წარსულ თაობას, იმით ჩვენც განვიკითხებით, რომლითა საწყაულითა მივუწყავთ იმით ჩვენც მოგვეწყვების. მაგრამ როდის იქნება ჩვენი მწერლობა წარმატებითი? უეჭველია რომ მაშინ, როდესაც ყველანი საქმეს ხელს მოვკიდებთ გონივრულად. უეჭველია, რომ ყველას საქმე გამოუჩნდება. ამასთანავე საჭიროა, რომ კაცად-კაცადმა იმას მოჰკიდოს ხელი, რაც შეუძლიან, რადგან ყველას ერთ გვარი ნიჭი არა აქვს. ბუნებას ისრე გონივრულათ გაუნაწილებია ეს ნიჭი კაცთა შორის, რომ ყველა კაცს ერთ გვარი საქმის შესაფერი ნიჭი არა აქვს. ერთს კარგი დურგლობა შეუძლიან, მეორეს ხვნა-მთესველობა, მესამეს ფიქრობა და სხვ. მაშასადამე ლიტერატურაც მაშინ არის ნაყოფიერი, ოდეს ემსახურება თავის დროების ხალხის სხვა და სხვა ხელობის დაგვარად ინტერესებს. ბელლეტრობა, ესე იგი ენის დაფერადება მჭევრმეტყველებით, ჩვენთვის უპირველეს საჭიროებას არ შეადგენს. შეორა ხელოვნებისა თვით ხელოვნებისათვის არაოდეს საყოველთაო არ გამხდარა. ვისაც ამისთვის უმსახურნია, ის უგზო-უკვლოდ დაკარგულია, თუნდ რომ გენიოსიც ყოფილიყოს. უეჭველია, რომ ჩვენი რუსთველი ამდენხანს ხალხის მეხსიერებიდამ ამოიფხვრებოდა, თუ რომ ჩვენ ლიტერატურას ცოტაოდენათ მაინც არის წარმატება ჰქონოდა. მართალია „ვეფხვის ტყაოსანში“ ბევრია გონივრული აზრები, მაგრამ რადგან ის პრაქტიკაში გამოუსადეგია, ამისათვის მე ერთ უბრალო უსწავლელ კაცს, რომელიც კი გააუმჯობესებს გუთანს, უფრო ვაქებ, ვიღრე ამ მწერალს. მაგრამ რადროსაც ეს სცხოვრებდა და სწერდა, ამ დროს, განათლებულს ხალხებშიაც, ძლიერ იშვიათი იყო მისებრი მწერალი. ჩემი სურვილი ის არის, რომ ლიტერატურა ცხოვრებას უნდა ემორჩილებოდეს. ყოველი სტატია ცხოვრებაში გამოსადეგი უნდა იყოს; გამოიკვლევდეს ჩვენ ცხოვრებას და აწმყო კითხვებსა. ყველა მწერალმა უნდა აწონოს თავისი ღონე და მერე შესწიროს ერთ რომელსამე საგნის ყოველის მხრივ გამოკვლევას და გამოძიებას. მწერლობის ვალი ის არის, რომ ყურებში ბამბა არ დაიცვას და თვალები არ დაიხუჭოს, ყველაფერი, რაც მოჰხდება, ცხოვრებაში ავი თუ კარგი, მაშინვე მოჰკიდოს ხელი და წარმოთქვას ლიტერატურაში, და ამ გვარათ ხალხის ცუდ ჩვეულებაებს ფესვი მოუკვეთოს: ერთის სიტყვით მოჰბეროს ახალი გამაცოცხლებელი ჰაერი ცხოვრებისა, ასე რომ წიგნის მკითხველი აღტაცებაში მოიყვანოს და მტკიცედ განაზრახოს მუდამ კითხვა. მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ ლიტერატურა საზოგადოების საჭიროებათ გახდეს, როდესაც ის მის ჭკუა-გონების გახსნას შეეწევა. ცხოვრება უარს ჰყოფს თეორიებს არამც თუ მაშინ, როდესაც ისინი გამოუსადეგნი არიან, არამედ მაშინაცა, როდესაც ესენი კარგნი არიან, მაგრამ საფუძველი ცხოვრებაში არა აქვთ. მაშასადამე იმ კაცმა არ უნდა იკისროს მწერლობა, რომელსაც ამ პირობების ასრულება არ შეუძლიან. მაგრამ უკაცრაოთ მკითხველო! მაპატიე, მე ეს აზრი წამამცდა, თორემ არ ვიტყოდი, ამისათვის რომ ამ აზრის საფუძველზე მეც ხელი უნდა ავიღო მწერლობაზე, რომელიც მე არ შემიძლიან, თუნდ რომ მკლავდეთ. მე ეს იმ გვარ მწერლებზედა ვსთქვი; რომელნიც ამ ხელობით ცდილობენ გამდიდრდნენ, მაგრამ ცხოვრებისა ინჩი-მინჩიც კი არ გაეგებათ. ამისა გამო მე ძლიერ დიდათ მსურს, რომ ამ გვარი მწერლები ღმერთმან გვაშოროს. . . . . ამის საბუთებს მოგახსენებდი, მკითხველო, მაგრამ რადგან ჩემის გრძელის საუბარით თავი მოგაწყინე, ამისათვის მსურს დავაბოლოვო—და ქიზიყს ვურჩევო, რომ მან დაუყოვნებლივ პურის მაღაზიები გაიხსნას სოფლებში. ამით ის ბევრათ შეიკავებს ზაქათალის მაზრაში თავის შვილების შემოსევას და გაუადვილებს უმოსაველო წელიწადებში მათ ცხოვრებას. რომელი მამასახლისიც კი ამაების აღსრულებაში მოყვანას იკისრებს და აასრულებს, ის ბედნიერი და ხალხისაგან დაუვიწყარი იქნება. (*)

ინგილო

1867 წელს.
1 ოკტომბერს.

(*) ძლიერ სასიამოვნო იქმნებოდა, რომ ამაზე ჩვენ მომავალში ქიზიყელის პასუხი წაგვეკითხნა. იქმნება ზოგიერთს ჩვენ ვიცდებით. ამ გვარი შენიშვნა ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა და არა საწყენო. ავტორი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го апрѣля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ზ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.